

## **ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №12**

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №12

---

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი მაღალტექნოლოგიური, 80 საწოლიანი, მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. ქობულეთის რაიონული საავადმყოფოს ტერიტორიაზე, გენერალური გეგმის შესაბამისად.

გადასაცემი ობიექტები:

- შპს "ბავშვთა საავადმყოფო" (ქობულეთი)  
- შპს "ქობულეთის რაიონული საავადმყოფო"

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

- საბანკო გარანტიის წარმოდგენა მაქსიმალური თანხით;  
- საბანკო გარანტიით ერთი და იგივე თანხის წარმოდგენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროექტის დასრულების ვადას.

შერჩევაში მონაწილეობისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი მინიმუმ 1 200 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია, აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბუთების წარმოდგენა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702, 27 ივლისის 17 სთ.-მდე.

წინადადებები შერჩევისათვის წარმოსადგენი იქნება დახურულ კონვერტებში.

კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801; 27 ივლისს, 17 სთ. და 30 წუთზე.

შემოთავაზების გაუმჯობესება არ მიიღება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01

---

## **ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №12 - შედეგები**

27 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად მე-12 პროექტის კონკურსი გაიმართა. შპს "ავერსი ფარმამ", "პე-ეს-პე ფარმამ", "ბლოკ-ჯორჯოამ" მოიგეს ჰოსპიტალური სექტორის განვითარების №12 პროექტი.

კონკურსში გამარჯვებულმა კონსორციუმმა გენერალური გეგმის შესაბამისად ქობულეთის რაიონული საავადმყოფოს ტერიტორიაზე უნდა ააშენოს ერთი მაღალტექნოლოგიური, 80 საწოლიანი, მრავალპროფილური ჰოსპიტალი, ხოლო უნდა გადაეცეს: შპს "ბავშვთა საავადმყოფო" (ქობულეთი), და შპს "ქობულეთის რაიონული საავადმყოფო".

გამარჯვებულმა კონსორციუმმა აღებული ვალდებულებების შესაბამისად საკონკურსო კომისიას წარუდგინა 1200000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია.